

## თბილისის მოსახლეობის პროგნოზი (2015-2030 წწ.)

გიორგი მელაძე

giorgi.meladze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, თსუ, ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, II კორპ.

თბილისის დემოგრაფიული პროგნოზის საფუძველს წარმოადგენს, ტრადიციული სამედიცინო სქემა, რომელიც გულისხმობს „დაბალ“, „საშუალო“ და „მაღალ“ დემოგრაფიულ სცენარებს. გაანგარიშებებისათვის გამოყენებულ იქნა საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის წინასწარი მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები, აგრეთვე რიგი სპეციალისტების (ი.ბადურაშვილი, მ.ნადარეიშვილი, რ.ჰაკერტი) შეფასებები. სცენარები შესრულებულ იქნა ასაკუდანაცვლების მეთოდით, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

საპროგნოზო დროის მონაკვეთში (2015-2030 წწ.), პროგნოზის დაბალი სცენარის მიხედვით, თბილისის მოსახლეობა მცირედ შემცირდება და 1107,6 ათასის ტოლი იქნება. პროგნოზის საშუალო და მაღალი სცენარების მიხედვით 2030 წლისათვის მოსახლეობა შესაბამისად 1327,5 და 1538,7 ათასის ტოლი იქნება.

რაც შეეხება მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, პროგნოზის დაბალი სცენარის მიხედვით 2015-2030 წწ. 3.8%-ით შემცირდება 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც 2030 წელს 15.3%-ის ტოლი იქნება. საშუალო სცენარის მხედვით, აღნიშნული ასაკის მოსახლეობის წილი მცირედ (0,3%) მოიმატებს და 19.4%-ის ტოლი იქნება, ხოლო მაღალი ვარიანტის მიხედვით კი 22.3%-ის. პროგნოზის სამივე სცენარი გვიჩვენებს, რომ სტაბილური იქნება სამუშაო ასაკის (15-64 წწ.) მოსახლეობის წილი, რომელიც 2030 წლისათვის 68%-ზე ოდნავ მეტი იქნება.

პროგნოზის დაბალი სცენარის მიხედვით, თბილისში მოსალოდნელია 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის მატება. აღნიშნული ასაკის მოსახლეობა 2015-2030 წწ. 12-დან 16.3%-მდე გაიზრდება. პროგნოზის საშუალო და მაღალი სცენარების მიხედვით 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის შემცირებაა მოსალოდნელი.

საპროგნოზო პერიოდში (2015-2030 წწ.), გაეროს მოსახლეობის განყოფილების 2017 წლის რევიზიის საშუალო ვარიანტის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის კლებაა მოსალოდნელი. ჩვენი გაანგარიშებების მიხედვით, თბილისში გარდაუვალია საწინააღმდეგო პროცესი.